პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 210 (4720)
1972 წ. 22 ოქტომბერი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, 29-ე ტირაჟი. აი, იღბლიანი ნომრები: 5 (ბადმინტონი), 6 (კალათბურთი), 30 (აფროსნობა), 31 (ცურვა), 34 (ხელბურთი), 41 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტოს" შემდეგი ტირაჟი 30 ოქტომბერს გაიმართება ვოროშილოვგრადში.

## ქართველი ათლეტების ბრინჯაო

კრასნოიარსკი, 20 ოქტომბერი. ძიუდოში მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, მოსკოველმა არმიელმა ვ. კუზნეცოვმა დღეს აქ სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა. მისმა ძველმა მეტოქემ და თანაკლუბელმა, კიეველმა ვ. საუნინმა შეძლო ილეთის ჩატარება, რომელიც მსაჯებმა „აქტიურობად" ჩათვალეს. სწორედ ამან მოუტანა კიეველს გამარჯვება და სათვალავით მესამე ოქროს მედალი.

რა თქმა უნდა, ქების ღირსია კუზნეცოვიც — საბჭოთა ძიუდოისტების ოლიმპიური გუნდის ერთადერთი წევრი, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის ფინალში გავიდა. სულ კი უძლიერესის წოდებას ერთმანეთს ეცილებოდა 12 მძიმეწონოსანი.

შეჯიბრების მეორე დღეს გათამაშებული მეორე ოქროს მედალი ბირებული იყო 23 წლის კაუნასელი ჩ. ეზერსკასისთვის. სამბოში ასეთი მაღალი შედეგისთვის ლიტველ სპორტსმენთაგან მანამდე არავის მიუღწევია.

აი, ჩემპიონატის მეორე დღის საპატიო კვარცხლბეკზე ასულთა გვარები:

80 კგ-მდე. 1. ჩ. ეზერსკასი, 2. ი. ციუბაჩენკო (მოსკოვი), 3. რ. ქაიხოსროშვილი (თბილისი) და რ. ხარშილაძე (ხაშური).

100 კგ-ს ზევით. 1. ვ. საუნინი, 2. ვ. კუზნეცოვი, 3. ჯ. ნიჟარაძე (თბილისი) და ვ. გუცუ (კიშინიოვი).

## სიმამაცის საზღაური

ბაქო, 20 ოქტომბერი. აკრობატიკაში დღეს დამთავრებული საკავშირო თასის გათამაშების ერთ-ერთ ვარჯიშში ნ. მასლობოიშჩიკოვამ მაქსიმალური შეფასება — 10 ქულა დაიმსახურა. ტოლიატის პედაგოგიური სასწავლებლის მეორეკურსელმა, 18 წლის სპორტსმენმა პირველად შარშან გამოიჩინა თავი სარბიელზე: სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა და ერთბაშად ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. ამჯერად ნადეჟდამ დაამტკიცა, რომ მისი შარშანდელი წარმატება შემთხვევითი არ გახლდათ — ბრწყინვალედ შეასრულა მთელი პროგრამა და სიმამაცის თვალსაზრისით ჭეშმარიტად უნიკალური ნახტომით მოხიბლა მაყურებელი — დაჯგუფებაში ორმაგი უკუმალაყით.

შესანიშნავმა, გაბედულმა დაბოლოებამ სტავროპოლელ ვ. სკაკუნს შესაძლებლობა მისცა 0,05 ქულით ჩამოეტოვებინა ძირითადი მეტოქე ა. ტიმოფეევი და გამარჯვებაც ეზეიმა.

შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში პირველი დღის შემდეგ ორიოლელები გ. ფრიდმანი და ა. სტეფანოვი დაწინაურდნენ. მაგრამ მეორე დღეს ისინი ბაქოს სარბიელზე ვეღარ ვნახეთ — ჰოლანდიაში გაფრინდნენ საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობისთვის. თასი კი ხვდათ სვერდლოვსკელებს გ. გასიანინასა და ი. საველიევს, რომლებმაც ამავე დროს საგანგებო პრიზი დაიმსახურეს საუკეთესო კომპოზიციისთვის.

ვაჟთა თანრიგში კრასნოდარელთა დუეტმა (ვ. ანანევიჩი და ა. ლავრენკოვი) იმარჯვა, ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშში კი უფროსთა კვარტეტმა (ი. მულაგალიევი, ძმები გორიფულინები და ვ. პოპკოვი).

აკრობატიკა



## სანეევის ბედნიერება

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ, სოხუმში გაიმართა სამხტომელთა მორიგი შეჯიბრება მეხიკოსა და მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ვ. სანეევის პრიზზე. ეს დღეები ზევრი რამით იყო ღირსშესანიშნავი. ჯერ ერთი, შეჯიბრების მთავარმა მასპინძელმა სანეევმა მსოფლიო რეკორდი დაიბრუნა, როცა დასკვნით ფინალურ ცდაზე 17,44 მეტრზე გადახტა. მეორეც, მან თავისი სახელობის პრიზი გადასცა პერსპექტიულ ლენინგრადელ მძლეოსანს, 19 წლის ა. პისკულინს, რომელმაც ევროპის იუნიორთა რეკორდი დაამყარა — 16,56 მ. მესამეც, ამ ასპარეზობამდე რამდენიმე დღით ადრე ვიქტორი დაქორწინდა — ცოლად შეირთო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის VI კურსის სტუდენტი ტატიანა ხვარცკია.

ამ სურათებზეც სწორედ ეს ბედნიერი მომენტებია აღბეჭდილი. ზედა სურათზე თქვენ ხედავთ ვ. სანეევს სარეკორდო ნახტომის მომენტში. შუა ფოტოზე ასახულია სანეევის მიერ პისკულინის „მონათვლა" — სახელმოხვეჭილი ოლიმპიელი მანდარინის გვირგვინით ამკობს თავისი სახელობის პრიზზე შეჯიბრებაში გამარჯვებულ ა. პისკულინს. ქვედა სურათზე კი ვ. სანეევი და მისი მეუღლე ტ. ხვარცკია არიან აღბეჭდილი. ძნელია სპორტსმენის ცოლობა: ზღვა შემოდგომისაა, მაგრამ ტატიანა ხომ სპორტსმენის ცოლია — იგი ზღვამ ზამთარშიც არ უნდა შეაშინოს.

გ. იაშვილის, გ. კიკნაძისა და ი. ჭოხონელიძის ფოტოები.





ჩაიკითხეთ:

მე-2 გვერდზე —

მოჭიდავეთა შეჯიბრებები ცხინვალში, გორში, საგარეჯოსა და სოფელ ქვემო ჭალაში.

მე-4 გვერდზე —

სკოპლეში ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის ჩანაწერები.

## მწვრთნელებიც სცოდავენ

ამას წინათ სოხუმში გაიმართა რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე მხატვრულ ტანვარჯიშში. ასპარეზობდნენ უფროსი, საშუალო და უმცროსი ასაკობრივი ჯგუფები.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ტანმოვარჯიშეთა უმრავლესობა სათანადოდ მომზადებული ვერ იყო ტექნიკურად და ფიზიკურად. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ნებისმიერი ვარჯიშის სუსტი კომპოზიციური წყობა, ძალიან დაბალი ნახტომები, უკმარი ქორეოგრაფიული ოსტატობა.

ჩვენი აზრით, სუსტი მომზადების ძირითადი მიზეზი წვრთნის სრულწლიურობის პრინციპის დარღვევაა. განა შეიძლება დღეს მაღალ შედეგებზე ფიქრი, თუ ბავშვი ზაფხულში ორ-სამ თვეს არ ვარჯიშობს? სისტემატური, სრულწლიური წვრთნის აუცილებლობაზე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა. იმედია, განათლების სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების ხელმძღვანელობა სერიოზულად ჩაუფიქრდება ამ საკითხს და მიიღებს გადამჭრელ ზომებს, რათა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს დავუკანონოთ ზაფხულის პერიოდში სპორტული ბანაკების მოწყობა და სათანადო წვრთნის ჩატარება.

საკვირველია, რომ ადგილებზე ფიზკულტურული ორგანიზაციების, განათლების განყოფილებების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ხელმძღვანელები არავითარ აქტიურობას არ იჩენენ ბავშვების გაჯანსაღებისა და მათი სპორტული ოსტატობის ამაღლებისთვის.

არანაკლებ სცოდავენ მწვრთნელებიც. არ არის დასამალი, რომ წვრთნის პროცესი ჩამორჩენილი მეთოდიკით, დაბალი დატვირთვით, ნაკლები მომთხოვნელობით და დაბალ დონეზე მიმდინარეობს.

შეჯიბრების საერთო არასახარბიელო შედეგების ფონზე შედარებით უკეთესი მომზადება გამოავლინა თბილისის გუნდმა, რომელმაც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი თასი მოიპოვა. გამარჯვებულმა კოლექტივმა 238,69 ქულა დააგროვა. II ადგილი დაისაკუთრეს მასპინძლებმა — აფხაზეთის სპორტსმენებმა (203,23), III ადგილი კი წილად ხვდა აჭარის გუნდს (194,19).

აღსანიშნავია, რომ ვერც ერთმა გამარჯვებულმა გოგონამ ვერ შეასრულა სათანრიგო ნორმატივი. დებულების თანახმად, არც ერთი მათგანი არ დაჯილდოებულა.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი შეჯიბრება ჩატარდა ძველი პროგრამით. ამჟამად ახალი საკლასიფიკაციო პროგრამის ათვისება (ძალაში შევა 1973 წლის იანვრიდან) ხდება. დრო სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ აღმოვფხვრათ ნებისმიერ ვარჯიშში არსებული ნაკლოვანებები და სპორტსმენებს სრულყოფილად შევასწავლოთ ახალი პროგრამა.

ო. ძორძია,
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ტანვარჯიშში, სპორტის ოსტატი.

50

## ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშები

# მასპინძლებს ვერაფერმა უშველა

ზაიდარებითა და კანოეებით შეჯიბრებაში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის იუნიორთა ნაკრები გუნდების გარდა ერევანში ტაჯიკეთის ნიჩბოსნებმაც იასპარეზეს. ისინი გუნდურ ჩათვლაში უკონკურსოდ გამოვიდნენ, მაგრამ ამას ტურნირისადმი ინტერესი ოდნავადაც არ გაუნელებია, ვინაიდან შუააზიელებმა პირად რბოლებში რამდენიმე კარგ შედეგს მიაღწიეს — ყველა მეტოქე დაჯაბნეს.

პროგრამაში მხოლოდ 500 და 1000 მეტრზე რბოლები იყო. სომხეთის კოლექტივმა ძალიან მონდომა საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა დაესაკუთრებინა, მაგრამ მას ვერც საკუთარმა კედლებმა უშველა და ვერც იმ სპორტსმენთა გამოყვანამ, რომელნიც დებულებით საასპარეზოდ არ დაიშვებოდნენ (დიდი ასაკის გამო). სიყალბეს ფარდა ტურნირის ბოლო დღეს აეხადა, სომხეთის ზოგიერთი სპორტსმენის შედეგი გააუქმეს და მასპინძლები 64 ქულით III ადგილს დასჯერდნენ. აზერბაიჯანის ნაკრებმა მათ 11 ქულით აჯობა. I ადგილი კი საქართველოს კარგად მომზადებულმა კოლექტივმა დაისაკუთრა — 102 ქულა (ტაჯიკეთის სპორტსმენებს საბოლოოდ 33 ქულა დაუგროვდათ).

გამარჯვებული გუნდის ნიჩბოსნები განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ქალიშვილთა შეჯიბრებაში, სადაც ოთხივე სახეობა მოიგეს. ჭაბუკთა 11 სახეობიდან კი ჩვენებს პირველობა ხუთჯერ ხვდათ, თუმცა მუდამ საუკეთესო შედეგი როდი უჩვენებიათ: საქართველოს ნიჩბოსნებმა ან ტაჯიკეთის სპორტსმენებთან წააგეს, ან სომხეთის იმ ეკიპაჟებთან, რომელთა მაჩვენებლები ბოლოს გაუქმდა.

როგორ წარიმართა პირადი ტურნირი? ერთადგილიანი ზაიდარებით 500 მეტრზე რბოლაში ნ. ვალეშნაიას (საქართველო) ბადალი არ ჰყავდა — იგი სტარტიდანვე დაწინაურდა და მეორე პრიზიორს, აზერბაიჯანის წარმომადგენელ თ. სამოშკინას (2.33,0) ფინიშთან 14 წამით მიასწრო, რაც ამ მოკლე დისტანციისთვის საკმაოდ თვალსაჩინო განსხვავებაა.

ამავე მანძილზე ორადგილიანებით რბოლაში საქართველომ ორი ეკიპაჟი გამოიყვანა და ორივემ შესანიშნავად იასპარეზა: თ. თედიაშვილ — ლ. ჯანანაშვილის დუეტმა პირველობა მოიგო (2.11,4), ე. ვართანიანც — ლ. მაიდანეცის წყვილმა კი II ადგილი დაიკავა — 2.15,0. III ადგილზეა აზერბაიჯანის ეკიპაჟი — 2.20,0.

საქართველოს ოთხადგილიანი ნავით ვალეშნაია, ე. მორჩილაძე, თედიაშვილი და ჯანანაშვილი გამოდიოდნენ. ეს კვარტეტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მეტოქენი — ოთხივე სპორტსმენი ნიჩბებს შეწყობილად უსვამდა. საბოლოოდ, გამარჯვება — 1.56,0. აზერბაიჯანის ნიჩბოსნები ჩვენებს 11,2 წამით ჩამორჩნენ და II ადგილს დასჯერდნენ.

საქართველოს ამავე კვარტეტმა მოიგო 4×500 მეტრზე ესტაფეტაც — 9.51,8. II ადგილზე ამჯერადაც აზერბაიჯანის წარმომადგენლები არიან — 10.43,1. III ადგილზე გავიდნენ მასპინძლები — 11.43,8.

ვაჟთა შორის ჩვენი ნიჩბოსნებიდან თავი ისახელეს კანოეებით მოასპარეზეებმა. ს. როსტიაშვილმა და ზ. გიგაურმა ჯერ ორადგილიანით 500 მეტრზე რბოლა მოიგეს — 2.04,8 (სომხეთის გუნდის შედეგია 2.09,5, აზერბაიჯანისა — 2.12,0), მერე მათ ა. ლისენკოსა და გ. ნადარეიშვილთან ერთად კანოეებით 4×500 მეტრზე ესტაფეტაში II ადგილი დაიკავეს — 9.35,0 (მასპინძლებთან წააგეს).

**რ. მაღრაძე.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ერევანი.

• • •

ვაჟთა სხვა ტექნიკური შედეგები ასეთია: **კანოე. ერთადგილიანი. 500 მ.** ე. ლუკინი (ტაჯიკეთი) — 2.13,5, ე. ზიმენკო (სომხეთი) — 2.15,0 (შედეგი გაუქმდა), გ. ნადარეიშვილი (საქართველო)—2.19,0; **1000 მ.** ლუკინი — 4.41,0, ე. გრეკოვი (სომხეთი) — 4.42,0, ს. როსტიაშვილი (საქართველო)—4.55,5. **ორადგილიანი. 1000 მ.** გრეკოვი — მ. მკრტჩიანი (სომხეთი) — 4.23,2, ა. ლისენკო — ვ. ბელენკო (საქართველო) — 4.34,6, აზერბაიჯანი — 4.40,4.

**ბაიდარა. 500 მ. ერთადგილიანი.** ნ. პიკალოვი — 1.58,2, გ. როგოვი (ორივე — ტაჯიკეთი) — 2.02,5, ა. მოშჩენკო (აზერბაიჯანი) — 2.02,8, ი. მიხალიოვი (საქართველო) — 2.03,0; **ორადგილიანი.** სომხეთი — 1.49,4, აზერბაიჯანი — 1.54,2, საქართველო — 1.55,8; **ოთხადგილიანი.** სომხეთი — 1.38,0, საქართველო (ი. ივანოვი, ი. ჭავჭავაძე, ა. მაზმანოვი, ა. ზუბენკო) — 1.39,8, აზერბაიჯანი — 1.43,1. **ესტაფეტა 4×500 მ.** სომხეთი — 8.14,0 (შედეგი გაუქმდა), საქართველო (ვ. სოსელია, თ. კიკნაძე, ვ. გიუტაშვილი, მიხალიოვი) — 8.18,0, აზერბაიჯანი — 8.41,5. **1000 მ. ერთადგილიანი.** პიკალოვი — 4.13,8, სოსელია — 4.22,2, ნ. კოზედაევი (აზერბაიჯანი) — 4.24,8; **ორადგილიანი.** სომხეთი — 3.53,8 (შედეგი გაუქმდა), საქართველო (ივანოვი — გიუტაშვილი) — 3.58,5, აზერბაიჯანი — 4.14,0.

## ჭიდაობას რა უნდა!..

# ორ ხალიჩაზე

ცხინვალის სპორტსკოლის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობა, რომელმაც სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ორგანიზებულად ჩატარდა (მთავარი მსაჯი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის ექს-ჩემპიონი ა. ცხოვრებოვი). გამარჯვებას ერთმანეთს ეცილებოდნენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, გორის, კასპისა და სხვა კოლექტივები, აგრეთვე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები. სულ სარბიელზე 170-მდე ფალავანი იბრძოდა, ამიტომაც მსაჯთა კოლეგიამ ასპარეზობა ერთდროულად ორ ხალიჩაზე ჩაატარა.

გუნდურ ტურნირში თავიდანვე დაწინაურდნენ მასპინძლები. მათი მთავარი მეტოქეები აფხაზეთის წარმომადგენლები იყვნენ. მაგრამ შეჯიბრების ბოლო დღეს ცხინვალელებმა მეტი მონდომება გამოიჩინეს და წარმატებასაც მიაღწიეს. 83 ქულით ისინი საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ. აფხაზეთის მოჭიდავეებმა საბოლოოდ 69 ქულა დააგროვეს — II ადგილი. III ადგილზე აჭარის ათლეტები გავიდნენ — 45 ქულა.

ბრძოლა ყოველ წონით კატეგორიაში დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა, მაგრამ ყველაზე მოულოდნელი შედეგით მაინც ქვემძიმე წონის სპორტსმენთა შეჯიბრება აღინიშნა. აქ მთავარ ფავორიტად ახალგაზრდული მსოფლიო პირველობის პრიზიორი, საგარეჯოელი თ. გეგეშიძე ითვლებოდა. ერთ-ერთ წრეში იგი ცხინვალელ ლ. კისიევს შეხვდა. საინტერესო ჭიდილი მასპინძელმა მოიგო. შემდგომში კისიევმა ყველა მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონის ტიტულიც დაიმსახურა.

ასპარეზობამ გამოავლინა ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ გ. ხახუტაშვილი, ყ. ფლიევი, ი. ბუბაშვილი, ტ. როსტომაშვილი და ო. გოგრიჭიანი (ონი).

ოქტომბრის დამლევს დუშანბეში ჩატარდება სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობა, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის ფალავნებიც გამოვლენ.

გაგაცნობთ ჩემპიონებს: გ. ხახუტაშვილი (ზესტაფონი), გ. ოქსუზიანი (აფხაზეთი), ყ. ფლიევი, რ. ალბოროვი (ორივე — სამხრეთ ოსეთი), რ. მელაშვილი (აჭარა), ტ. როსტომაშვილი (საგარეჯო), ი. ბუბაშვილი (აფხაზეთი), დ. რევაზიშვილი (საგარეჯო), ლ. კისიევი (სამხრეთ ოსეთი), შ. კვაჭანტირაძე (მახარაძე).

**ვ. მელქოევი.**
**(ჩვენი კორ.).**

ცხინვალი.

### უკვე მესამედ

როგორც გაზეთი „ლელო" იუწყებოდა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულმა მწვრთნელთა სკოლამ (დირექტორი ა. ნემსაძე) საინტერესო სპორტულ-მასობრივი გამოსვლები მოაწყო მცხეთისა და დუშეთის სტადიონებზე. ლექცია-საუბრები, მასობრივი ტანვარჯიშული ზეიმი, შეჯიბრებები ჭიდაობასა და ფრენბურთში, დახმარება მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში — აი, ძირითადი პროგრამა, რასაც პედაგოგთა ხელმძღვანელობით ანხორციელებდა მწვრთნელთა სკოლის 250 მოსწავლე.

გასულ შაბათს მწვრთნელთა სკოლის კოლექტივმა საგარეჯოში ჩაატარა ასეთივე ღონისძიება, რომლის ერთ მომენტს ამ სურათზე ხედავთ.

**უ. მელქაძე,**
მწვრთნელთა სკოლის II კურსის მოსწავლე.



# ქართული ჭიდაობიდან ძიუდომდე

ამ დღეებში გორის საჭიდაო დარბაზი საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტებს მასპინძლობდა. ჭიდაობით გორელებს ძნელად თუ გააკვირვებ, მაგრამ ძიუდო მათთვისაც კი ახალი ხილი გამოდგა. ამიტომაც ტურნირისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს. ასეთი დიდი მასშტაბის — რესპუბლიკური ასპარეზობა საერთოდ პირველად ჩატარდა საქართველოში და სპორტსმენთა მზარდი ოსტატობაც გამოავლინა.

ეს არც უნდა გვიკვირდეს, ვინაიდან ძიუდო შეიცავს ჩვენში ფართოდ გავრცელებულ ჭიდაობის სახეობათა ელემენტებს. სპორტსმენი, რომელიც კარგადაა დაუფლებული სამბოს, განსაკუთრებით კი ქართულ ჭიდაობას, ადვილად ითვისებს ძიუდოს ილეთებს და გაცილებით ჩქარა ეუფლება მის ურთულეს ნიუანსებს.

გადახედეთ ტურნირში გამარჯვებულთა გვარებს: ისინი სპორტში ქართული ჭიდაობიდან მოვიდნენ. მათი უწინდელი გატაცება ქართული ჭიდაობა იყო, რომელმაც მდიდარი საფუძველი შეუქმნა სამბოს. სამბოდან ძიუდოზე გადასვლა კი უმტკივნეულოდ მოხდა. ასე რომ, გუშინდელი სამბისტი დღეს ძიუდოს დასრულებულ ოსტატად წარმოგვიდგა. ალბათ ამიტომაც მოიწონეს სპეციალისტებმა ტურნირის საერთო დონე და ცალკეულ სპორტსმენთა მომზადება.

მსუბუქ წონაში პირველობა „სპარტაკის" გუნდის წევრმა კახურაშვილმა მოიპოვა. მან საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა სპეციალისტებზე. მთავარ მეტოქესთან — ბურევესტნიკელ ჯანანაშვილთან კახურაშვილმა ფინალამდე წმინდად მოიგო ორთაბრძოლა. მერე ეს ორი ათლეტი კიდევ ერთხელ შეხვდა ერთმანეთს, უკვე ფინალში. სპარტაკელი ამჯერად ქულებით გამარჯვებას დასჯერდა, მაგრამ I ადგილისთვის ესეც საკმარისი იყო.

ქვესაშუალო წონაში პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ ცინცაძე („სპარტაკი") და ყორღანაშვილი („დინამო"). ფინალური ჭიდილის სტარტზე უპირატესობას დინამოელმა მიაღწია, მაგრამ ცინცაძეს ეყო ენერგია, რომ ჯერ გაეთანაბრებინა მდგომარეობა, მერე კი დაწინაურებულიყო კიდეც.

კარგად იჭიდავა საშუალო წონის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა ყურაშვილმა („დინამო"). განსაკუთრებით ეფექტურად მოიგო მან ფინალური შერკინება კბილაშვილთან („ბურევესტნიკი").

გამოუცდელი თვალისთვის ძნელი შესაფასებელი იყო ქვემძიმე წონის ფინალისტთა — ჭიკაიძისა („ბურევესტნიკი") და ელიზაშვილის („სპარტაკი") შეხვედრის შედეგი. მაგრამ მსაჯებს არ გამოეპარათ ჭიკაიძის უმნიშვნელო უპირატესობა, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა.

მძიმეწონოსანთა ტურნირი მოიგო დინამოელმა მაისურაძემ. მას არაფერში ჩამოუვარდებოდა ბურევესტნიკელი ბერძული, მაგრამ ამ უკანასკნელმა ერთ მომენტში მიუტევებელი უყურადღებობა გამოიჩინა და მეტოქეს შებოჭვის საშუალება მისცა. მაისურაძეს მეტოქე ხელფეხგაკრული ჰყავდა 30 წამს, ეს კი ძიუდოში წმინდა გამარჯვებას ნიშნავს.

მაშ ასე, ახალგაზრდა ძიუდოისტთა I რესპუბლიკური ტურნირის ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: ვ. კახურაშვილი, ტ. ცინცაძე, ო. ყურაშვილი, რ. ჭიკაიძე და გ. მაისურაძე.

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „სპარტაკი", 2. „ბურევესტნიკი", 3. „დინამო".

**ნ. ახვლედიანი,**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

გორი.

# ერთი ენთუზიასტიც დიდი ძალაა

საგარეჯოს საჭიდაო დარბაზში მოეწყო „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს ახალგაზრდა სამბისტთა პირადი პირველობა. ტურნირში მონაწილეობის სურვილი ათმა რაიონმა გამოთქვა, მაგრამ სარბიელზე მხოლოდ 9 გუნდი გამოვიდა. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ გორის მოჭიდავეთა კოლექტივი საგარეჯოს ეწვია მაშინ, როცა პირველი წრე უკვე მთავრდებოდა. ცხადია, მსაჯთა კოლეგიამ გუნდი სარბიელზე არ დაუშვა.

ქების ღირსნი არიან ფოთელი მოჭიდავეები. მართალია, მათ I ადგილი არ დაუკავებიათ, მაგრამ საქმე მხოლოდ გამარჯვება როდია. წინათ, ფოთში ჭიდაობის ეს სახეობა საერთოდ არ იყო განვითარებული და, ცხადია, არც მოჭიდავეებს აგზავნიდნენ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. ახლა კი მესამე წელია ფოთელი სამბისტები სისტემატურად გამოდიან ხალიჩაზე და იმაღლებენ ოსტატობას. ეს პირველ ყოვლისა მწვრთნელ გ. გამსახურდიას დამსახურებაა, მისი ენთუზიაზმისა და კარგი მუშაობის ნაყოფი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: თ. ქივიძე (კასპი), გ. მარხვაშვილი (საგარეჯო), ტ. ცინცაძე (თბილისი), გ. დიღმელაშვილი (საგარეჯო), ზ. წენგუაშვილი, მ. მოსიაშვილი, ა. დიღმელაშვილი (ყველა — თბილისი), ვ. შუბითიძე (კასპი).

**თ. არაბული,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.),**

საგარეჯო.

# შინმოუსვლელთა თასზე

კასპის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტი და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე" დაუღალავად ილვწიან, რომ ქართული ჭიდაობა ახალგაზრდებში უფრო მასობრივი და პოპულარული გახდეს. ამ მიზნით ეწყობა რაიონული შეჯიბრებები, დასვენების დღეებში იმართება საჩვენებელი გამოსვლები, შემოდგომაზე კი ჯამდება წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შედეგები. ამ ტურნირს შინმოუსვლელთა თასის გათამაშება ჰქვია და მასში, როგორც წესი, რაიონის თითქმის ყველა წამყვანი ფალავანი მონაწილეობს.

ამას წინათ ქვემო ჭალაში ჩატარდა გუნდური შეჯიბრება შინმოუსვლელთა თასზე. ტურნირში 14 სპორტის ოსტატი და ბევრი ახალგაზრდა მოჭიდავე მონაწილეობდა. საინტერესოა, რომ პირველად თასი 1968 წელს გათამაშდა მეტეხის სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და ფიზკულტურის კოლექტივის მუშაკთა თაოსნობით. საპატიო ჯილდო მაშინ კავთისხეველებმა მოიპოვეს. ამჯერად გამარჯვება ღოესის გუნდს დარჩა, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა. II ადგილი დაიკავეს ქვემოჭალელებმა, III — ზემო ხანდაკის წარმომადგენლებმა.

**ლ. ელისაბედაშვილი,**
**(ჩვენი კორ.),**

სოფ. ქვემო ჭალა,
კასპის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შუა გზაზე მიტოვებული მოგება

მოსკოვი, ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 21 ოქტომბერი.

ცსკა — „დინამო“ (თბილისი) 3:2 (1:2).

ცსკა: შმუცი, უტკინი, ზვიაგინცევი, ისტომინი, კაპლიჩნი, ხისამუტდინოვი, დოლგოვი (დუდარენკო), კოპეიკინი, ფედოტოვი (პლახეტკო), პოლიკარპოვი, დოროფეევი.

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჩელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 2:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

ყოველთვის, როცა „ლელოს“ რედაქცია მავალებს რეცენზიას თბილისის „დინამოს“ რომელიმე მატჩზე მოსკოვში, შეშფოთებული მივდივარ სტადიონზე. არ იცი, როგორ ითამაშებენ სტუმრები: მაღალტექნიკურად, ტემპიანად, ლამაზად (რისთვისაც ასე გვიყვარს ეს გუნდი), თუ უნებისყოფოდ, უხალისოდ... ეს შეშფოთება მიპყრობდა ახლაც, არმიელებთან მატჩის წინ, მით უმეტეს, როცა მახსენდებოდა „დინამოს“ ბოლო გამოსვლა ლენინგრადში...

მაგრამ წარმოიდგინეთ ცსკა-ს მდგომარეობაც, რომელიც საპრიზო ადგილის რეალურ პრეტენდენტად რჩება ახლაც, თუმცა მან ზედიზედ წააგო ბოლო სამი მატჩი („არარატთან“, „ტორპედოსთან“ და მინსკის „დინამოსთან“).

ასეთ ვითარებაში ორივე მეტოქეს უნდა ეჩვენებინა მთელი თავისი შესაძლებლობანი, გამოევლინა მაქსიმალური ენერგია, რათა არ გაეშვა ხელიდან სამეულში მოხვედრის შანსი. მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, როგორც მასპინძლებმა, ისე სტუმრებმაც, თამაში დაიწყეს ნელ ტემპში, მშვიდად... იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ორივე მხარე ერთმანეთს ელოდა, რას იზამს მოწინააღმდეგე.

აი, ამ მოლოდინში, მე-9 წუთზე, ხისამუტდინოვმა იხელთა მომენტი და საკმაოდ შორიდან მოულოდნელად დაარტყა კარში. გოგია ვერ მისწვდა ბურთს და ანგარიში გაიხსნა.

თბილისელები თითქოს არ აპირებდნენ თამაშის შეცვლას და უწინდებურად ნელა მოქმედებდნენ, მაგრამ მე-17 წუთზე ასევე მოულოდნელად იქნა გათამაშებული სწრაფი კომბინაცია ასათიანსა და ნოდიას შორის და ამ უკანასკნელმა ზუსტად დაარტყა — 1:1. მოსკოველთა მეკარემ ამ მომენტში აშკარად სუსტად ითამაშა.

დინამოელთა შეტევები თანდათან გაძლიერდა. განხორციელდა რამდენიმე იერიში ცენტრალურ ზონაში და მას 36-ე წუთზე გოლიც მოჰყვა: ყიფიანისგან მიღებული ბურთი გუცაევმა ოსტატური დარტყმით გაგზავნა შორეულ კუთხეში — 2:1.

გამარჯვებით დამთავრებულ ტაიმს მეტი სიმხნევე და დამაჯერებლობა უნდა შეეტანა თბილისელთა რიგებში, მაგრამ ჩვენდა გასაოცრად პირიქით მოხდა: დინამოელებმა ძალიან სუსტად, უგეგმოდ ჩაატარეს მთელი მეორე ნახევარი. ისინი (განსაკუთრებით, ნახევარმცველები) გაუთავებლად, უსარგებლოდ, გაუმართლებლად ატარებდნენ ბურთს, ამუხრუჭებდნენ ტემპს და სისტემატურად კარგავდნენ გადაცემებს. სრულიად მარტივ პოზიციაშიც კი, როცა ხელის შემშლელი არავინ იყო, თბილისელები, როგორც წესი, არმიელ მოთამაშეებს აწვდიდნენ ბურთს, ამას გარდა, მთელი თამაში ცენტრში გადაჯქონდათ, და მაშინაც კი, როცა ფლანგებზე პარტნიორები იხსნებოდნენ, მათ უბრალოდ არავინ აქცევდა ყურადღებას. სტუმრებმა ვერ ჩაკეტეს დოლგოვის ნაცვლად მინდორზე გამოსული დუდარენკო და უიმედოდ წააგეს მეორე ტაიმი, მასთან ერთად, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩიც. თბილისის „დინამოს“ შესვენების შემდეგ პირდაპირ ვერ იცნობდით...

ანგარიში 50-ე წუთზე გაქვითა კოპეიკინმა, — ეს იყო „დინამოს“ მცველთა უხეში, მიუტევებელი შეცდომის შედეგი. გავიდა კიდევ 10 წუთი, კოპეიკინმა კვლავ იყოჩაღა და საუცხოო თავური დარტყმით დააწინაურა თავისი გუნდი.

მატჩის ბოლომდე საკმაო დრო იყო, მაგრამ იგი მოსკოველებმა უფრო ნაყოფიერად გამოიყენეს, ვიდრე სტუმრებმა, რომელთა კართანაც ბოლო წუთებზე არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა.

ვ. პავლოვი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## გუშინ, გუშინწინ

გუშინწინ მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა: „სპარტაკი“ — „პაირათი“.

უფერული, ყოვლად უინტერესო მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

გუშინ:

„ზენიტი“ — „არარატი“ 2:0. გოლები — ნიკოლაევი, სადირინი.

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:3. გოლები — კოზლოვი (2), მახოვიკოვი.

„დინამო“ (კიევი) — „ნეფთჩი“ 6:1. გოლები: კიეველთაგან — ბიშოვეცი, ბლოხინი (2-2), კოლოტოვი, ტროშკინი; ბაქოელთაგან — სმოლნიკოვი.

## I ლიგა

გათამაშების მორიგ ტურში, რომელიც 20 ოქტომბერს გაიმართა, ერთ-ერთმა ლიდერმა — ოდესის „ჩერნომორეცმა“ საკუთარ მინდორზე წააგო მატჩი კიშინიოვის „ნისტრუსთან“ — 0:1.

ქულა დაკარგა კიდევ ერთმა ლიდერმა — დონეცკის „შახტიორმა“, რომელმაც პერმში ფრედ ითამაშა „ზვეზდასთან“ — 0:0.

თავიანთ აქტივს 2 ქულა მიუმატეს ტაშკენტელმა ფეხბურთელებმა: „ფახთაქორმა“ იაროსლავლში დაამარცხა „შინიკი“ — 3:1.

ქუთაისის ტორპედოელები სვერდლოვსკში დამარცხდნენ „ურალმაშთან“ — 1:3.

## სხვა კალენდარი

ასე დამთავრდა: „კრივბასი“ (კრივოი როგი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:1, „დინამო“ (ლენინგრადი) — „ალგა“ (ფრუნზე) 3:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 3:1, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 1:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:1, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 1:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქ.“ | 33 | 21 | 6 | 6 | 61—28 | 48 |
| „შახტ.“ (დ) | 35 | 17 | 13 | 5 | 50—18 | 47 |
| „ჩერნომ.“ | 35 | 19 | 8 | 8 | 64—32 | 46 |
| „კრ. სოვ.“ | 35 | 13 | 16 | 6 | 47—32 | 42 |
| „ზვეზდა“ | 36 | 14 | 14 | 8 | 39—33 | 42 |
| „ტორპედო“ | 34 | 17 | 5 | 12 | 43—29 | 39 |
| „შინიკი“ | 35 | 15 | 9 | 11 | 38—38 | 39 |
| „პამირი“ | 34 | 12 | 11 | 11 | 45—44 | 35 |
| „სპარტაკი“ | 35 | 12 | 10 | 13 | 42—46 | 34 |
| „შახტ.“ (ყ.) | 36 | 10 | 13 | 13 | 34—46 | 33 |
| „ალგა“ | 35 | 9 | 14 | 12 | 36—38 | 32 |
| „ავტომობ.“ | 35 | 8 | 16 | 11 | 27—39 | 32 |
| „მეტალურ.“ | 35 | 12 | 7 | 16 | 43—43 | 31 |
| „ნისტრუ“ | 35 | 10 | 11 | 14 | 34—42 | 31 |
| „ტექსტილ.“ | 35 | 10 | 11 | 14 | 31—45 | 31 |
| „სტროიტ.“ | 35 | 10 | 9 | 16 | 33—53 | 29 |
| „კრივბასი“ | 35 | 9 | 10 | 16 | 47—56 | 28 |
| „მეტალისტ.“ | 35 | 8 | 12 | 15 | 29—38 | 28 |
| „დინამო“ | 35 | 7 | 12 | 16 | 28—47 | 26 |
| „ურალმ.“ | 35 | 8 | 9 | 18 | 33—56 | 25 |

# ბრძოლა ორ ფრონტზე

ფოთში, რიონზე, აკადემიურ ნიჩბოსნობაში პარალელურად ორი დიდი ტურნირი გაიმართა — საუწყებო პირად-გუნდური პირველობა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება. ორივე ასპარეზობაში „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „ვოდნიკის“, „დინამოსა“ და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის გუნდები მონაწილეობდნენ. ორივე შეჯიბრების პროგრამა ერთნაირი იყო, ოღონდ ჩემპიონატში მონაწილეთა ასაკი არ განუსაზღვრავთ, სპარტაკიადაში კი მხოლოდ იუნიორები გამოდიოდნენ. ამ იუნიორებიდან უნდა შეირჩეს საქართველოს ნაკრების კანდიდატები, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა მორიგ სპარტაკიადაში იასპარეზებენ.

ამრიგად, იუნიორებს უმეტესად ორ ფრონტზე ბრძოლა უხდებოდათ — რესპუბლიკის ჩემპიონატსა და სპარტაკიადაში გამარჯვებისთვის. ამან ყველა კლასის ნავებით რბოლა უფრო დაძაბული და საინტერესო გახადა. სპორტის მოყვარულთა ინტერესი იმანაც გაზარდა, რომ სარბიელზე ჩვენი რესპუბლიკის ყველა საუკეთესო ნიჩბოსანი გამოვიდა, მათ შორის, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის მონაწილენი და პრიზიორებიც.

როგორც რესპუბლიკურ ჩემპიონატში, ისე სპარტაკიადაში, გუნდური გამარჯვებისთვის ბრძოლაში მთავარი მეტოქენი „სპარტაკის“, „დინამოსა“ და ასკ-ს კოლექტივები იყვნენ. „ვოდნიკი“, რომელსაც აკადემიური ნიჩბოსნობის განვითარებისთვის ყველაზე კარგი პირობები აქვს (შესანიშნავი ბაზა რიონზე, სამი მწვრთნელი), და „ბურევესტნიკი“ ასპარეზობისთვის ცუდად მოემზადნენ. „ბურევესტნიკმა“ საქართველოს ჩემპიონატში 40 ქულა მოაგროვა და ბოლო ადგილს დასჯერდა, სპარტაკიადაში კი იგივე ადგილი 20 ქულით დაიკავა. რაც შეეხება, „ვოდნიკს“, ამ საზოგადოების ნიჩბოსნებმა ორივეჯერ 62 ქულით IV ადგილი დაისაკუთრეს.

ჩემპიონატში „დინამოს“ გუნდმა იმარჯვა — 80 ქულა. არმიელები და სპარტაკელები ჩემპიონს 2-2 ქულით ჩამორჩნენ, მაგრამ, ვინაიდან სპარტაკელებს მეტი პირადი საპრიზო ადგილი აღმოაჩნდათ, II ადგილი მათ მიაკუთვნეს. სამაგიეროდ, არმიელებმა სპარტაკიადაში 84 ქულით გაიმარჯვეს. II ადგილზე არიან „დინამოს“ იუნიორები — 80, III კი „სპარტაკის“ წარმომადგენლები — 78.

ვიდრე პირადი ტურნირის მსვლელობაზე ვიტყოდეთ რამეს, აღვნიშნავთ, რომ გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის ბრძოლა ასე დაძაბული დიდი ხანია არ ყოფილა. კარგია, რომ საქართველოს სპორტულ საზოგადოებებში აკადემიური ნიჩბოსნობის განვითარებისთვის ბოლო წლებში უფრო მეტად ზრუნავენ.

რამდენიმე სიტყვა პირად ასპარეზობაზე. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა რვაადგილიანებით რბოლა. „ბურევესტნიკის“ ნავს, რომელშიც უმეტესად საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორები, სპორტის ოსტატები გ. ნიკურაძე, ო. ქაფიანიძე, ნ. პლიევი, ჯ. გოგლიჩიძე, ბ. ხურციძე, ვ. კუდუხოვი, ს. ბარიშევი, კ. სლინიავჩუკი და პირველი კლასის მესაჭე ო. ხუციშვილი ისხდნენ, შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ასკ-ს ეკიპაჟმა (მესაჭე — მეორე კლასის მესაჭე ნ. ნაპასაშვილი) და საბოლოოდ მხოლოდ 3 წამით ჩამორჩა. ჩემპიონებმა 2000 მ 6 წუთსა და 15 წამში გაცურეს. III ადგილზეა „ვოდნიკი“ (მესაჭე — პირველი კლასის მესაჭე ვ. კუპრეიშვილი) — 6.48,0.

ბურევესტნიკელებმა კიდევ ერთი კოლექტიური გამარჯვება მოიპოვეს — რვაადგილიანის ეკიპაჟის ნახევარმა (ქაფიანიძე, კუდუხოვი, პლიევი, ბარიშევი) მესაჭიანი ოთხადგილიანებით შეჯიბრებაშიც სცადა ძალა და ყველა მეტოქე იოლად დაამარცხა — 6.39,8. II ადგილზე ახლაც არმიელი ნიჩბოსნები გავიდნენ — 7.05,8. III ადგილი ამჯერად დინამოელებს ხვდათ — 7.40,6.

ერთადგილიანებით შეჯიბრებაში საქართველოს ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. აბაზაძე („ბურევესტნიკი“) — 8.33,4. მან იოლად დაამარცხა სპარტაკელი სპორტის ოსტატი დ. ლოლუა (8.50,4), რომელიც პირად ჩემპიონატში გამოდიოდა. ლოლუამ კინაღამ პირველთანრიგოსან თანაგუნდელ თ. შეროზიასთანაც წააგო, მაგრამ უკეთესი ფინიშის წყალობით შეროზია აიძულა III ადგილს დასჯერებოდა.

დანარჩენ ოთხ კლასში ორი გამარჯვება მოიპოვეს სპარტაკელებმა, თითო — „დინამოსა“ და არმიელთა კოლექტივებმა, მაგრამ ბრძოლა თუნდაც პრიზიორთა შორის ყოველთვის დაძაბული როდი იყო. მაგალითად, წყვილმოსასმელიანი ორადგილიანებით შეჯიბრებაში გამარჯვებულმა „სპარტაკის“ დუეტმა (სპორტის ოსტატები ვ. გეგეჭკორი და ა. მაჩიტაძე. 6.59,4) ფინიშთან ზუსტად 16 წამით მიასწრო „ვოდნიკის“ ეკიპაჟს, რომელმაც თავის მხრივ დინამოელთა წყვილს 19 წამით აჯობა.

სპარტაკელთა ამ დუეტმა მოიგო უმესაჭო ნავებით რბოლაც — 8.33,2. ამ საზოგადოების წევრები, პირველთანრიგოსნები ზ. მიქაია და გ. კაკაბაძე (8.44,2), რომლებიც პირად შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, II ადგილზე გავიდნენ. III ადგილზეა „დინამო“ (ვ. ჯაკალეიშვილი, ვ. იობიძე) — 9.00,4.

მესაჭიანი ორადგილიანებით ტურნირში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: „დინამო“ (ბ. სინათაშვილი, ნ. დიხამინჯია. მესაჭე პირველი კლასისა — ა. ოდალაძე) — 8.16,0; „სპარტაკი“ — 8.19,0, ასკ — 8.25,0, უმესაჭო ოთხადგილიანებით რბოლაში კი ამნაირად: ასკ (რ. არუთინიანი, გ. ფაცია, ე. გარდინინი, ს. ოდიშარია) — 6.21,0, „ვოდნიკი“ — 6.56,0, „სპარტაკი“ — 7.05,0.

ო. ივლოშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ფოთი.

## „პინგვინები“ თათრეთის ყურეში

არხანგელსკის ოლქის ქალაქ სევეროდვინსკში რვა წელია არსებობს წყალქვეშა სპორტის კლუბი „პინგვინი“.

კლუბის წევრები ყოველწლიურად აწყობენ ექსპედიციებს სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხეში. ისინი უკვე იყვნენ თეთრ, ბარენცის, კარის, ბალტიის, შავ, ოხოტის, იაპონიის ზღვებზე, ისიკ-ყულის ტბაზე.

ბოლო ექსპედიცია „პინგვინმა“ კუნძულ მონერონზე მოაწყო, თათრეთის ყურის სამხრეთ ნაწილში (სახალინის ოლქი). მონერონი და მის ირგვლივ მდებარე პატარა კუნძულები განთქმულია კრიალა წყლით, ცხოველთა და მცენარეული სამყაროს სიმდიდრით. გარდა სპორტული სრულყოფისა, კლუბის წევრები თავიანთ ამოცანად მიიჩნევენ წყალქვეშა ფლორისა და ფაუნის შესწავლას, აგროვებენ ექსპონატებს თავიანთი მუზეუმისთვის.

ექსპედიციის შემდეგ, ტრადიციისამებრ, სევეროდვინსკის ერთ-ერთ კულტურის სახლში წყალქვეშა სპორტის მოყვარულთა ერთგვარი „შემოქმედებითი ანგარიშგება“ მოეწყობა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მუსიკალური სკოლის მასწავლებელი ვ. პიატნიცკი შინ მუდამ მდიდარი ნადავლით ბრუნდება.

ო. გალუშკოს ფოტო (საკდესი).



## [illegible]

### ზესტაფონი

რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მოაწყო ორდღიანი ლაშქრობა მარშრუტით: ზესტაფონი — მაყვლარიანის მთა — საკრაულა — მაიაკოვსკი — საირმე — ზესტაფონი. ლაშქრობა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. 55 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ პედაგოგები ც. მელაძე, ფ. მოდებაძე და ჯ. ზაქარიაძე. მოლაშქრეები კმაყოფილი დაბრუნდნენ შინ.

ა. განუგრავა.

### სოხუმი

სოხუმის საგალანტერეო ფაბრიკის, აფხაზკავშირის, თევზის კომბინატის, კომუნალური მეურნეობის, „ავტოტრანსპორტელისა“ და „ინტურისტის“ აფხაზეთის განყოფილების გუნდებმა გაითამაშეს „სპარტაკის“ საოლქო საბჭოს პირველობა ფეხბურთში. „ინტურისტის“ წარმომადგენლებმა I ადგილი დაიკავეს.

გ. პოლოსიანი.

### წითელი წყარო

გაიმართა „კოლმეურნის“ რაიონული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდური პირველობა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოჭიდავეებმა მოიგეს.

უ. წყარუაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





გუშინწინ თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშულ დარბაზში დაიწყო საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა სპორტულ ტანვარჯიშში — სარბიელზე გამოდიან საქართველოსა და უნგრეთის ნაკრები გუნდები. ვაჟებში პირველი დღის შემდეგ 55,8 ქულით ლიდერობს ბაატა შამუგია, ხოლო ქალებში — რუსუდან სიხარულიძე (37,9).

ასპარეზობა დღეს დამთავრდება.

• • •

სურათებზე: გუნდურ ჩათვლაში მიუნჰენის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი კრისტინა მედვიცკა (უნგრეთი) ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს; ბ. შამუგია ძელზე ვარჯიშისას.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

### იუგოსლავიური შთაბეჭდილებები

# 2. ფიშერის მოლოდინში

ოლიმპიადის დღეებში ხშირად იყო საუბარი მსოფლიო ჩემპიონ ფიშერის ირგვლივ. უკმაყოფილონი იყვნენ, რომ ამერიკელი დიდოსტატი სკოპლეში არ ჩამოვიდა. ზოგი ამტყუნებდა, ზოგი ამართლებდა მის მოთხოვნებს (ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის ფიშერმა აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციას 150 ათასი დოლარი მოსთხოვა).

— თუნდაც არ ეთამაშა, სკოპლეში მაინც უნდა ჩამოსულიყო, — თქვა მილუნკა ლაზარევიჩმა. — ოლიმპიადას მსოფლიო ჩემპიონთა მონაწილეობა ღირსებას მატებს. ისევ ქალებმა გაჯობეთ: ჩვენი ნონა ყველასთვის მაგალითი უნდა იყოს!

ამერიკელებმა თქვეს, ფიშერს თავისი მოთხოვნა სამი თვით ადრე რომ ეცნობებინა ფედერაციისთვის, უარს არ ეტყოდნენო.

— ფიშერის ჩამოუსვლელობის მიზეზი ფული არ არის, — მითხრა უნგრელმა დიდოსტატმა ლასლო საბომ, რომელიც სკოპლეში კორესპონდენტად იყო. — დანამდვილებით ვიცი, რომ სპასკისთან მატჩის პროცესში მან წონაში 15 კილოგრამი დაიკლო და თავს გადაღლილად გრძნობს. აბა, რა ფასი ექნებოდა მის თამაშს? მსოფლიო ჩემპიონს, ისიც ახალს, მარცხის უფლება არა აქვს.

— აქ მითხრეს, რომ ფიშერი მიწვეულია ამერიკის ქალაქ სან-ანტონიოს დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც პეტროსიანი, კერესი და კარპოვი ითამაშებენ. ფიშერს უარი არ უთქვამს, მაგრამ დიდი ჰონორარი მოითხოვა.

— მართალია. ჰონორარი მართლაც არ არის საკმარისი: პირველი ადგილისთვის მხოლოდ ოთხი ათასი დოლარი, მეორისთვის — ორი ათასი, მესამე ადგილისთვის — მხოლოდ ათასი დოლარი. ჩემი აზრით, ჰონორარი რომ მოუმატონ კიდეც, ფიშერი მაინც არ ითამაშებს, — თქვა საბომ.

ერთხელ ცნობილ იუგოსლაველ საჭადრაკო ჟურნალისტს დ. ბელიცას ვესაუბრე. იგი თავიდან ბოლომდე დაესწრო სპასკი — ფიშერის მატჩს რეიკიავიკში.

— შევრიგდით მე და ბობი, — იცინის ბელიცა. — ალბათ გახსოვთ, სასამართლოშიც მიჩივლა, წიგნის ჰონორარი მოითხოვა, ჩემი ნაამბობი მეითვისაო.

რეიკიავიკში ბელგრადის ტელევიზიის დავალებით ბელიცა კინოს იღებდა უჩუმრად.

— წარმოიდგინეთ, გადავიღე. თავდაპირველად ძალიან გამიჭირდა. უხმაურო კამერით ვიღებდით შორიდან. მაგრამ მატჩი რომ დამთავრდა, შევძელი სპასკისა და ფიშერის გადაღება და ინტერვიუს სინქრონულად ჩაწერა. მატჩის საზეიმო დახურვა კი მთლიანად აღვბეჭდე ფირზე, — თქვა ბელიცამ. — სხვათა შორის, ხვალ ბელგრადის ტელევიზია აწყობს ამ ფილმის პრემიერას. აქ პრეს-ცენტრში შეგიძლიათ ნახოთ.

— რა დაარქვით ფილმს?

— „უჩუმრად", ისე როგორც ვიღებდი.

ფილმი თითქმის საათს გაგრძელდა. პრეს-ცენტრში ტევა არ იყო. ჩემს გვერდით სპასკი — ფიშერის მატჩის მთავარი არბიტრი, გერმანელი დიდოსტატი ლ. შმიდი იჯდა. იგი ინტერესით უყურებდა ეკრანს. ზოგჯერ იტყოდა. „ზერ გუტ". მოსწონდა ზოგიერთი კადრი, ინტერვიუ.

სპასკი და ფიშერი საუცხოოდ ლაპარაკობდნენ. ფიშერმა განაცხადა, რომ „ჭადრაკი მეცნიერებაა, რომელიც თავდავიწყებულ შრომას მოითხოვს". სპასკიმ აღნიშნა, რომ ფიშერი უაღრესად პრაქტიკული, მიზანდასახული მოთამაშეა. ფიშერმა ყველა დროის დიდ მოჭადრაკეებად დაასახელა პ. მორფი, ვ. სტეინიცი, ე. ლასკერი, ხ. კაპაბლანკა, ა. ალიოხინი და მ. ბოტვინიკი. თავის საუკეთესო პარტიად მატჩში ფიშერმა მესამე პარტია აღიარა, სპასკიმ კი მეცხრამეტე. შეკითხვაზე: სპასკის მატჩ-რევანში რომ ეთამაშოთ, როგორი შედეგია მოსალოდნელიო, მან უპასუხა: რა თქმა უნდა, მოვიგებ!

ბელიცას კარგად გადაუღია მატჩის საზეიმო დახურვა, რომელსაც ათასობით კაცი დაესწრო. გამაოცა ერთმა გარემოებამ: საზეიმო ცერემონიალის დროს, როცა ყველა ფეხზე იდგა და ტაშს უკრავდა, ფიშერი იჯდა და ჯიბის ჭადრაკზე არჩევდა პოზიციას, თან წამდაუწუმ სპასკის რაღაცას ეკითხებოდა.

იუგოსლაველი ჟურნალისტის აზრითაც, მსოფლიო ჩემპიონი დაღლილობის გამო არ დაესწრო ოლიმპიადას.

ყველას აინტერესებდა, განიხილავს თუ არა ფიდე-ს კონგრესი ფიშერის მოთხოვნას მატჩ-რევანშის შემოღების თაობაზე. კონგრესმა ამ მოთხოვნაზე არ იმსჯელა, რაკი მსოფლიო ჩემპიონი არ ჩამოვიდა და თავისი მოსაზრებები არ შემოთვალა. მაგრამ ითქვა, რომ 62 წლის ამერიკელმა დიდოსტატმა ს. რეშევსკიმ მსოფლიო პირველობაზე მატჩში ფიშერი გამოიწვია. თავისი ქომაგების წყალობით მან ამისთვის ხუთასი ათასი დოლარი შეაგროვა. ფიშერს დასტური არ მიუცია. წინადადების მიღება ხომ ფიდე-ს წესების წინააღმდეგ გამოსვლა იქნება. ფიშერს, რა თქმა უნდა, ფიდე-სა და საჭადრაკო საზოგადოებრიობის გადაკიდება არ სურს.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სკოპლე — თბილისი.

## მოგერიებული იერიში

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გრძელდება სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების მოჭადრაკეთა ჩემპიონატი.

ცუდად სტარტის შემდეგ დანაკარგის ანაზღაურება დაიწყო თბილისელმა ოსტატმა ე. უბილავამ. გუშინწინ, VI ტურში, მისმა მეტოქემ რ. პოსტლერმა (გდრ) მხედარი შესწირა ორ პაიკში და სცადა მუქარა შეექმნა მოწინააღმდეგის მეფისთვის. მაგრამ თბილისელმა იოლად მოიგერია იერიში, ზედმეტი ფიგურა შეინარჩუნა და მოსაგები პოზიცია მიიღო, ამასთან, მე-40 სვლაზე პოსტლერმა დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა. უბილავას ახლა 3 ქულა აქვს 6-დან.

ე. პრანდშტეტერი (ჩეხოსლოვაკია) ი. ადამსკისთან (პოლონეთი) შეხვედრაში უარეს პოზიციაში აღმოჩნდა. იმედი გადაწურული ჯერ კიდევ არ ჰქონდა, მაგრამ მეტოქის ტიპური ტაქტიკური დარტყმა გამორჩა და გარდუვალი მატერიალური დანაკარგის გამო დანებდა.

ოდესელი მ. პოდგაეცი გდრ-ის წარმომადგენელ ლ. ცინს შეხვდა. სხვადასხვა ფერის კუთა მიუხედავად, მან ზუსტად გამოიყენა ენდშპილში ზედმეტი პაიკი. ა. ლოკასტოსა (პოლონეთი) და ვ. ლიბერზონის (სსრ კავშირი) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ტურნირის ლიდერმა — უნგრელმა ოსტატმა ლ. ვადასმა ენერგიულად მიიტანა იერიში ე. ნოვაკის (ჩეხოსლოვაკია) მეფის ფრთაზე. შავებმა თავიანთი მეფე მეორე ფლანგზე გადაიყვანეს. უშველის თუ არა ეს ნოვაკის პოზიციას, პარტიის დამთავრება გვიჩვენებს.

დაუმთავრებელი დარჩა კიდევ ორი შეხვედრა. რიგელ ი. კლოვანს ზედმეტი პაიკი აქვს ა. ოქვატის (უნგრეთი) წინააღმდეგ. ძალთა საინტერესო შეფარდებაა ა. იზვოზჩიკოვისა (თბილისი) და ვ. ჟურავლიოვის (რიგა) შეხვედრაში. თეთრების ორი ეტლი იბრძვის ეტლის, კუსა და ოთხი (!) პაიკის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, იზვოზჩიკოვი ყაიმის შანსს ინარჩუნებს.

6 ტურის შემდეგ ვადასს 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, პოდგაეცს — 4 ქულა, ოქვატს — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ადამსკისა და პრანდშტეტერს — 3,5-3,5 ქულა.

ა. ბუსლაევი,
სპორტის ოსტატი.

## ბ. გურგენიძე თამაშობს

გუშინ კისლოვოდსკში სტარტი აიღო დიდი რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის ტრადიციულმა მემორიალმა. მსგავსი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი პირველად 1947 წელს შედგა მოსკოვში.

მემორიალი უაღრესად ძლიერი შემადგენლობისაა. თამაშობენ დიდოსტატები ე. გელერი, ლ. პოლუგაევსკი, ლ. შტეინი, ბ. გურგენიძე, ა. სუეტინი, რ. ხოლმოვი (ყველა — სსრ კავშირი), ვ. უნციკერი (გფრ), ი. ბარცაი (უნგრეთი), საერთაშორისო ოსტატები რ. ნეჟმეტდინოვი (სსრ კავშირი), ჯ. ლანგევეგი (ჰოლანდია), ა. კოზმა (ჩეხოსლოვაკია) და სხვ.

მემორიალი 14 ნოემბრამდე გასტანს.

## [illegible]-72

● მინსკი, 20 ოქტომბერი. აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში იაროსლაველმა ვ. კორნევმა არმიული შაშხანით 300 მეტრზე წოლელა სროლაში შესანიშნავად იასპარეზა: ყველა მისი ტყვია ზუსტად სამიზნის ცენტრში ჩაჯდა — 200 ქულა 200-დან. კორნევმა ქულათა საუკეთესო ჯამი (568) მოაგროვა სამი მდგომარეობიდან სროლაშიც. დღეს თავი გამოიჩინა მოსკოველმა ე. რასკაზოვმაც. შავ სამიზნეზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში მან 576 ქულა დააგროვა. ერთი ოქროს მედალი კი რიგაში წავა: ახალგაზრდა ლატვიელმა სპორტსმენმა ბაიბა ზარინიამ 10 მეტრზე პნევმატური შაშხანით დგომელა სროლაში 387 ქულა დააგროვა 400-დან.

● მოსკოვი, 20 ოქტომბერი. დღეს აქ დაიწყო სსრ კავშირის, შვეციის, ინგლისისა და რსფსრ-ს (2 გუნდი) ბადმინტონისტთა ამხანაგური მატჩების სერია. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა და შვედი სპორტსმენები. თამაში ფრედ დამთავრდა — 4:4. სსრ კავშირის ღირსებას იცავდნენ ლენინგრადელი ლ. მარკოვა, კიეველი ნინა კოსიაკი, მინსკელები ტ. კოჩეტკოვა, ტ. ანდრონოვა, ს. როზინი და დნეპროპეტროვსკელი ქ. ვავილოვი. შვეციის გუნდს სათავეში ედგნენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ევა ტვედბერგი და ევროპის ორგზის ჩემპიონი სტურე იუნსენი.

## „მეფე" ვაჭრობს

ბრაზილიის საქვეყნოდ სახელგანთქმული საფეხბურთო კლუბის „სანტოსის" ხელმძღვანელობამ მარცხი იწვნია თავის ვარსკვლავთან, თავდამსხმელ ედსონ არანტეს დო ნასიმენტოსთან ანუ პელესთან დავაში: კლუბმა მიიღო პელეს ფინანსური მოთხოვნები. „მეფემ" ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომლის თანახმადაც „სანტოსში" უნდა ითამაშოს 1975 წლის მარტამდე.

პელემ, როგორც კი ძველ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, ახალი პირობები წამოაყენა. მან ახლა ბევრად მეტი ფული მოითხოვა, თან განაცხადა, ყველა მატჩში არ ვითამაშებო. იგი გამოვიდოდა მხოლოდ ცალკეულ შეხვედრებში, უმეტესად საზღვარგარეთ გამართული ტურნეების დროს. „სანტოსმა" უარყო ეს მოთხოვნა, რადგან კლუბს ფინანსურად ისედაც უჭირს.

ვაჭრობა კომერციის ყველა წესის დაცვით გაჩაღდა. კლუბის მესვეურებმა განაცხადეს: თუ პელე ცოტას მაინც არ დაგვითმობს, ისლა დაგვრჩენია ოთხივ კუთხით გზა დავულოცოთო. პელე მათ დაემუქრა, მთელ წელიწადს არ ვითამაშებ ფეხბურთსო. ცეცხლზე ნავთი დაასხა მეორე კლუბმა „ფლამენგომ". ამ კლუბის ხელმძღვანელები მზად იყვნენ არათუ პელეს მოთხოვნები მიეღოთ, არამედ „ბოტაფოგოდან" ჟაირიც გადაეყვანათ.

მაშინ „სანტოსის" ადმინისტრატორთა ხახელდახელო თათბირმა „მეფის" მოთხოვნები მიიღო. გუნდის ხელმძღვანელებმა იცოდნენ, რომ უპელეოდ მოგებას ვერსად ნახავდნენ — ვერც ლათინურ ამერიკაში, ვერც ევროპაში, ვერც აფრიკაში.

(საკუთარი კორ.).
რიო-დე-ჟანეირო.

[illegible] … $19^{45}$

◆ ლონდონი, 21 ოქტომბერი. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის (მოსკოვი) წყალბურთელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ინგლისის „პოლიტექნიკი". ეს იყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის აქ დაწყებული გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი. ნახევარფინალში მოსკოველები რუმინეთის ჩემპიონს — ბუქარესტის „დინამოსა" და დასავლეთ გერმანიის ჩემპიონს — სპორტკლუბ „დუისბურგს" შეხვდებიან. ამ გუნდების თამაში ტურნირის პირველ დღეს ფრედ დამთავრდა — 4:4.

### მკითხველთა და კორესპონდენტთა საყურადღებოდ!

„ლელოს" რედაქცია აცნობებს გაზეთის მკითხველებსა და კორესპონდენტებს, რომ ამიერიდან რედაქციაში მასალები გამოგზავნონ სახელის, მამის სახელისა და გვარის სრული აღნიშვნით, აგრეთვე, ზუსტი მისამართის მითითებით.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

8 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02720